BLACKOUT

WIRED HEADPHONES

ARDOR GAMING

სარჩევი

მოწყობილობის დანიშნულება 4
უსაფრთხოების ზომები 4
ტექნიკური მახასიათებლები 5
მოწყობილობის სქემა 6
აუდიოკონექტორის ფიქსაცია 9
სივრცითი ხმა 7.1 და გარნიტურის დამხმარე პროგრამული უზრუნველყოფა 9
მობილურ მოწყობილობებთან გამოყენება 10
შესაძლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა 10
უსაფრთხოების ზომები 11
შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები 12
საგარანტიო ვალდებულებები 13
დამატებითი ინფორმაცია 14

ძვირფასო მომხმარებელო!

გმადლობთ ნდობისთვის!

ჩვენი გუნდი სრულად იზიარებს კომპიუტერული თამაშებისადმი თქვენს გატაცებას, სწორედ ამიტომ ვცდილობთ, რომ თქვენი სათამაშო გამოცდილება ჩვენი გეიმინგ აქსესუარებით დაუვიწყარი გახდეს. გისურვებთ ახალ გამარჯვებებს და ყველაზე ნათელ შთაბეჭდილებებს!

მოწყობილობის დანიშნულება

ყურსასმენები — მოწყობილობა მუსიკის, მეტყველების ან სხვა ხმოვანი სიგნალების პერსონალური მოსმენისთვის.

უსაფრთხოების ზომები

- ნუ შეიტანთ მოწყობილობის კონსტრუქციაში რაიმე ცვლილებას. ეს მოწყობილობა არ შეიცავს მომხმარებლის მიერ მომსახურებად ელემენტებს.
- მოკლე ჩართვის თავიდან ასაცილებლად არ დაუშვათ მოწყობილობის კონტაქტი რაიმე სითხესთან, არ დადოთ მის გვერდით სითხით სავსე ღია ჭურჭელი.
- არ დაუქვემდებაროთ მოწყობილობა ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედებას.
- სმენის დაზიანების თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ ყურსასმენები ხმის უსაფრთხო დონეზე.

ტექნიკური მახასიათებლები

გეიმინგ ყურსასმენები

- მოდელი: Blackout
- სავაჭრო ნიშანი: ARDOR GAMING
- დინამიკის დიამეტრი: 50 მმ
- მგრძნობელობა: 118 დბ
- წინაღობა: 32 ომი
- სიხშირეთა დიაპაზონი: 20 ჰც – 20 კჰც
- კონექტორი: 3,5 მმ jack, Type-C
- კაბელის სიგრძე: 2 მ
- მტვრისა და ტენისგან დაცვის კლასი: IPX0
- გამოყენების სფერო: საყოფაცხოვრებო


მიკროფონი

- დიამეტრი: 6 × 2,7 მმ
- მგრძნობელობა: –42 ± 3 დბ
- წინაღობა: ≤2,2 კომ
- სიხშირეთა დიაპაზონი: 20 ჰც – 20 კჰც
- მიმართულების დიაგრამა: ყველა მიმართულების მიკროფონი


კომპლექტაცია

- გეიმინგ ყურსასმენები Blackout
- აუდიოკაბელი Jack 3,5 მმ
- კაბელი USB Type-C – USB 2.0
- გადამყვანი Jack 3,5 მმ – 2*Jack 3,5 მმ
- მოხსნადი მიკროფონი
- ქეისი
- მომხმარებლის სახელმძღვანელო


მოწყობილობის სქემა



1. თავსაბურავი
2. თავსაბურავის რეგულატორი
3. მოხსნადი მიკროფონი ხმაურის ჩახშობით
4. ყურის ბალიშები




5. ხმის რეგულატორი
6. მიკროფონის გამორთვის/ჩართვის ღილაკი
7. 3,5 მმ კონექტორი
8. USB Type-C კონექტორი
9. მიკროფონის დასაკავშირებელი კონექტორი



10. გადამყვანი jack 3,5 მმ – 2*jack 3,5 მმ
11. აუდიოკონექტორი 3,5 მმ
12. USB Type-C კაბელი

აუდიოკონექტორის ფიქსაცია



შეაერთეთ 3,5 მმ კონექტორი ყურსასმენებზე არსებულ შესაბამის კონექტორთან, შემდეგ მოაბრუნეთ კონექტორი მარჯვნივ 90°-ით მის დასაფიქსირებლად. ამის შემდეგ კაბელის ყურსასმენებიდან გამოთიშვა მისი გაწევით შეუძლებელი იქნება. ფიქსაციის მოსახსნელად მოაბრუნეთ კონექტორი მარცხნივ 90°-ით.

სივრცითი ხმა 7.1 და გარნიტურის დამხმარე პროგრამული უზრუნველყოფა

1. დარწმუნდით, რომ გარნიტურა კომპიუტერთან USB Type-C კონექტორითაა დაკავშირებული.
2. გადადით საიტზე www.dns-shop.ru და ჩამოტვირთეთ ამ მოდელის პროგრამული უზრუნველყოფა განყოფილებიდან „ინსტრუქციები და ფაილები“.
3. გაუშვით ინსტალაციის ფაილი და მიჰყევით სისტემის მითითებებს. დაელოდეთ ინსტალაციის დასრულებას, შემდეგ დააჭირეთ „დასრულება“.

4. პროგრამის ფანჯარაში აირჩიეთ ჩანართი „ვირტუალური 7.1“.
5. დააჭირეთ ოფციას „ვირტუალური 7.1“ ვირტუალური სივრცითი ხმის 7.1 რეჟიმის ჩასართავად.

მობილურ მოწყობილობებთან გამოყენება

გარნიტურის მობილურ მოწყობილობასთან გამოსაყენებლად შეაერთეთ 3,5 მმ აუდიოკონექტორი თქვენი სმარტფონის ან პლანშეტის შესაბამის კონექტორთან.

შესაძლო პრობლემები და მათი გადაწყვეტა

1. გარნიტურა დაკავშირებულია, მაგრამ მასში ხმა არ ისმის / ისმის მხოლოდ ერთი არხი.
    - დარწმუნდით, რომ ხმის დონე გარნიტურის რეგულატორზე, გამოყენებად აპლიკაციაში ან წყარო-მოწყობილობის სისტემურ პარამეტრებში ნულზე არ არის დაყენებული.
    - შეამოწმეთ, საიმედოდ არის თუ არა გარნიტურა დაკავშირებული წყარო-მოწყობილობასთან, ასევე არ არის თუ არა დაბინძურებული გარნიტურის კონექტორი. გამორთეთ კაბელი ორივე ბოლოდან (გარნიტურიდან და წყარო-მოწყობილობიდან), საჭიროების შემთხვევაში გაწმინდეთ ის ჭუჭყისგან და კვლავ დააკავშირეთ კაბელის კონექტორები.
    - დარწმუნდით, რომ გარნიტურა წყარო-მოწყობილობის ან მისი ოპერაციული სისტემის მიერ სწორად ამოიცნობა (შეამოწმეთ წყარო-მოწყობილობის მენიუ ან სისტემური ინტერფეისი).
2. გარნიტურა დაკავშირებულია, მაგრამ თქვენი ხმა მიკროფონით არ ისმის.
    - დარწმუნდით, რომ მიკროფონი ჩართულია (დააჭირეთ გარნიტურაზე მიკროფონის გამორთვის ღილაკს).
    - შეამოწმეთ, საიმედოდ არის თუ არა მიკროფონი დაკავშირებული გარნიტურასთან, ასევე არ არის თუ არა დაბინძურებული მიკროფონის კონექტორი. საჭიროების შემთხვევაში გაწმინდეთ მიკროფონის კონექტორი ჭუჭყისგან და ხელახლა შეასრულეთ დაკავშირება.
    - დარწმუნდით, რომ თქვენი გარნიტურის მიკროფონი წყარო-მოწყობილობის ან მისი ოპერაციული სისტემის მიერ სწორად

ამოიცნობა (შეამოწმეთ წყარო-მოწყობილობის მენიუ ან სისტემური ინტერფეისი).

3. ყურსასმენებში ისმის ხმაური, ხელშეშლა ან ექო.
    - შესაძლოა, გარნიტურის სიახლოვეს სხვა ელექტრომოწყობილობა იმყოფება, რომელიც ხელშეშლას ქმნის. განათავსეთ გარნიტურა აკუსტიკური სისტემისგან, რადიომიმღებისგან, მიკროტალღური ღუმელისგან ან თქვენს სიახლოვეს მდებარე სხვა მოწყობილობისგან მოშორებით.
    - შეამოწმეთ, საიმედოდ არის თუ არა გარნიტურა დაკავშირებული წყარო-მოწყობილობასთან, ასევე არ არის თუ არა დაბინძურებული გარნიტურის კონექტორი. გამორთეთ კაბელი ორივე ბოლოდან (გარნიტურიდან და წყარო-მოწყობილობიდან), საჭიროების შემთხვევაში გაწმინდეთ ის ჭუჭყისგან და კვლავ დააკავშირეთ კაბელის კონექტორები.
    - შესაძლოა, წყარო-მოწყობილობაზე თქვენ მიერ გამოყენებულ აპლიკაციაში ჩართულია მიკროფონის ხმის გაძლიერების ფუნქცია. შეამოწმეთ წყარო-მოწყობილობის მენიუ ან სისტემური ინტერფეისი და საჭიროების შემთხვევაში გამორთეთ ფუნქცია.

უსაფრთხოების ზომები

- ნუ შეიტანთ მოწყობილობის კონსტრუქციაში რაიმე ცვლილებას.
- მოკლე ჩართვის თავიდან ასაცილებლად არ დაუშვათ მოწყობილობის კონტაქტი რაიმე სითხესთან, არ დადოთ მის გვერდით სითხით სავსე ღია ჭურჭელი.
- არ დაუქვემდებაროთ მოწყობილობა ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედებას.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე კონტროლს ახორციელებენ მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.

შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

- მოწყობილობა არ საჭიროებს რაიმე მონტაჟს ან მუდმივ ფიქსაციას.
- მოწყობილობის შენახვა უნდა განხორციელდეს შეფუთვაში, მწარმოებელსა და მომხმარებელთან, ჰაერის ტემპერატურაზე 5 °C-დან 40 °C-მდე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისას არაუმეტეს 80%. შენობებში არ უნდა იყოს კოროზიის გამომწვევი აგრესიული მინარევები (მჟავა, ტუტე ორთქლი).
- მოწყობილობის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს მშრალ გარემოში.
- მოწყობილობა მოითხოვს ფრთხილ მოპყრობას; დაიცავით იგი მტვრის, ჭუჭყის, დარტყმების, ტენიანობის, ცეცხლის და ა.შ. ზემოქმედებისგან.
- მოწყობილობის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- მოწყობილობის მომსახურების ვადის ამოწურვის შემდეგ მისი გადაგდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად აკრძალულია. ამის ნაცვლად ის უნდა ჩაბარდეს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მიღების შესაბამის პუნქტს შემდგომი გადამუშავებისა და უტილიზაციისთვის ფედერალური ან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ პროდუქტის სათანადოდ უტილიზაციით, თქვენ ხელს უწყობთ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და თავიდან აცილებთ გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანს, რაც შესაძლებელია არასათანადო მოპყრობისას. ამ პროდუქტის მიღებისა და უტილიზაციის პუნქტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საწარმოში.
- მოწყობილობის გაუმართაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს ან უტილიზაცია გაუკეთეთ მოწყობილობას.

საგარანტიო ვალდებულებები

მწარმოებელი უზრუნველყოფს მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, ასევე მასალებსა და აწყობაში დეფექტების არარსებობას. საგარანტიო ვადა აითვლება ნაწარმის შეძენის მომენტიდან და ვრცელდება მხოლოდ ახალ პროდუქტებზე. საგარანტიო მომსახურება მოიცავს იმ ელემენტების უფასო შეკეთებას ან შეცვლას, რომლებიც მწყობრიდან გამოვიდა მომხმარებლის ბრალის გარეშე საგარანტიო ვადის განმავლობაში, ნაწარმის მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად ექსპლუატაციის პირობით. ელემენტების შეკეთება ან შეცვლა ხორციელდება უფლებამოსილი სერვისცენტრების ტერიტორიაზე.

საგარანტიო ვადა: 24 თვე.
ექსპლუატაციის ვადა: 24 თვე.

დამატებითი ინფორმაცია

Manufacturer: Dongguan Yenona Audio Co., Limited.
301, Factory Building A, No.2 Shichang Road, sangyuan, Dongcheng Sub-District, Dongguan City, Guangdong Province, China.

მწარმოებელი: დუნგუან ენონა აუდიო კო., ლიმიტედ.
301, ქარხნის შენობა A, შიჩანის გზატკეცილი №2, სანიუანი, დონჩენის ქვერაიონი, ქ. დუნგუანი, გუანდუნის პროვ., ჩინეთი.

დამზადებულია ჩინეთში.

იმპორტიორი საქართველოში:
შპს არგო ელექტრონიქს ს/კ 405791674 საქართველო,
ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47,
სადარბაზო 1, 1-2 სართული.
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@dns-shop.ge

ნაწარმი შეესაბამება TP TC (ЕАЭС) მოთხოვნებს.

სპეციფიკაციები, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და მისი იერსახე შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, ჩვენი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

საქონელი დამზადებულია (თვ.წწწწ): _____ V.4

გაიგეთ მეტი:

ARDOR-GAMING.COM

VK.COM/ARDOR_GAMING